გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 118

2023 წლის 14 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ

2023 წლის 20 ივნისს შემოსულია საკრებულოს წევრის ნიკოლოზ კოპაძის განცხადება (საკრებულოს რეგისტრაცია: N19/212317111-21; 20.06.2023 წელი), რომლითაც ითხოვს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ეხსნება პირადი განცხადებით, მისი აპარატში ჩაბარების (რეგისტრაციის) მომდევნო დღიდან. აქედან გამომდინარე საჭიროა ვადაზე ადრე მისი უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის ცნობად მიღება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხებისა და ეთიკის კომისიის სხდომა და მიღებულია დადებითი დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე,

1. ცნობად იქნეს მიღებული გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკოლოზ კოპაძის ვადამდე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 2023 წლის 21 ივნისიდან.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ.გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე